ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 192. შაბათი, 29 აგვისტო 1909 წ. დამატების № 34.

უეცარი ტალღა.

დრამა ოთხ მოქმედებად.

მოქმედება მეორე.

(შემდეგი*)

ხტუნაობით ამორბის ტიტიკო და ხელში ძაფზე აესხმული რამდენიმე კალმახი უჭირავს. უკან მოსდევს ალექსი ნემს-კავებით ხელში.

ტიტო. სიხარულით მიირბენს სვიმონთან) უყურე, მამა, რამდენი კალმახი დავიჭირეთ!

სვიმონ. ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო ცელქო ბიჭუნავ!

ექვთ. (თავზე ხელს უსვამს ტიტოს. მერე მიუბრუნდება ალექსის) აბა, ალექსი, ერთი ხელდახელ მოხარშე. მერე შენებურად შეაზავე, ნიგვზითა და სუნელებით რომ იცი ხოლმე.

ალექ. კეთილი. ხელათვე მზად იქნება. (ექვთიმე, სვიმონი და დვოისო გადიან მარჯვნიკ ბასსით. ალექსი და ტიტო დასხდებიან და დაუწუებენ თევზების წმენდას).

ტიტო. (აიღებს ერთ კალმახს) აი, ეს იყო, მე რომ დავიჭირე, აი! როგორა ფანთხალებდა საწყალი!

ალექ. ბევრსა ფანთხალებდა და ყველაზე ადრე კი მაგან დალია სული (სიჩუმე).

ტიტო. ალექსი! შენ ხომ ბერი ხარ და ამ თევზების სიკვდილი განა ცოდვათ არ ჩაგეთვლება?

ალექ. რა ვუყოთ, გენაცვა! ადამიანის სიცოცხლე ცოდვებით არის სავსე. მხოლოდ მაშინ აღარ ჩაიდენს კაცი ცოდვებს, როცა სამუდამოდ გამოესალმება სიცოცხლეს.

ტიტო. (ბავშვურის მიამიტობით და კოტაებით) მაშ ბერად რალათა ხარ?

ილია ჭავჭავაძე.

ხვალ, 30 აგვისტოს, სრულდება ორი წელიწადი, რაც პოეტი წუთი-სოფელს გამოესალმა.

ალექ. იმიტომ, რომ ყოველთვის ვინანიო ის ცოდვები, რომელთაც განუწყვეტლივ ჩავდივარ ჩემის სიცოცხლით.

ტიტო. და გეპატიება ხოლმე?

ალექ. რა ვიცი!

ტიტო. მაშა?

ალექ. არ ვიცი, ჩემო პატარა! მე მხოლოდ ვლოცულობ ხოლმე, რომ მეპატიოს. (ტიტო გაშტერებული უყურებს. აკრეფავს თევზებს) წავიდე ეხლა მოვხარშო ხელ და ხელ. (მიდის).

ტიტო. მეც ვისწავლი, როგორა ხარშავ! (მისდევს. ცოტახანს სიჩუმეა. მერე ბიდიკის მხრიდან მოისმის ხმა-მადლა ლაპარაკი).

ლელა. სად მირბიხარ, შალიკო?

შალვა. წავალ ერთი ხელად ზღვის ტალღებში გავიჭყუმპალავებ, ძალიან დამცხა.

ლელა. ჩქარა მოდი, არ დაგიგვიანდეს!

შალვა. არ დამიგვიანდება! ჯერ ხომალდი არც კი მოსჩანს.

ბილიკზე მოდის ლელა. უკან მოსდევს არჩილი.

ლელა. (იხედება აქეთ-იქით) სად წასულან ნეტავი, აქ აღარ არიან!

არჩილ. ალბად გაიელიდნენ საითმე. დავუცადოთ. აი, დავსხდეთ და ვუყუროთ აქედან შალვას ზღვასთან თამაშს (დასხდებიან და გაიყურებიან ზღვისკენ. სიჩუმე).

ლელა. ბატონო არჩილ! თქვენ რომ გუშინ ლექსს დამპირდით, როდის დამიწერთ?

არჩილ. მე უკვე მზადა მაქვს.

ლელა. მართლა?

არჩილ. აი! (იღებს უბიდან ჰატარა ქაღალდს და ხელში უჭირავს, თვითონ ზეპირად კითხულობს)

ზღვის მღელვარებას, ტყის შრიალსა, ვარსკვლავთა ციმციმს,
მთვარის მშვენებას,—

*) იხ. სურათებიანი დამატება № 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა სიტურფეს აქ მოგიწოდებთ, გამოჰყვეთ სწრაფათ ეთერის რხევას! ნაზი ხმა სტუმრად აქ მოფრენილი ტკბილსა ჰანგებად აგასხამთ ყველას და მით მომაკვდავს, შვების მონატურს, გულს გაუხარებს, დაუტკბობს სმენას.

(ქალალდს გაუწვდის ლელას)

ლელა. (ართმევს) როცა ყველაზე საუკეთესო და ოცნების გუნებაზე ვიქნები, მაშინ ვიმღერებ ხოლმე ამ ლექსს

დაღესტნისა და ჩაჩნის იმამი შამილი.

და თქვენც მოგიგონებთ. (უყურებს მორცხვად, მაგრამ გამოტდის თვალით).

არჩილ. მეც როცა გავერთობი სანატრელ წარმოდგენებსა და ოცნებებში, მაშინ ყოველთვის მოვიგონებ ხოლმე, რომ იქ... სადღაც, ტურფა ლამაზი ხმა წარმტაცათ ათამაშებს ჰაერში ჩემი გულის სიღრმიდან ამონათქვამ სიტყვებს და მეც უფრო მეტ გატაცებასა და ოცნებას მივეცემი მაშინ (ლელა მორცხვათა და კმაყოფილებით თავს ჩაღუნავს. სიჩუმე. არჩილ თითქოს თავისთვის და ლელას გასაგონათაც) ლელა ფიქრებმა გაიტაცეს. ნეტავი სად მიაფრენენ ეხლა მას?

ლელა. (გაიღიმება). სად მიმაფრენენ?—შორს.

არჩილ. მე ვხედავ.

ლელა. ხედავთ, რომ მე ვერ წარმომიდგენია, როგორ არა გბეზრდებათ ესე ობლათ, ქვეყნიერებისაგან მოწყვეტით ცხოვრება?

არჩილ. არა მბეზრდება, რადგან მე შევქმენი ჩემთვის ისეთი ქვეყანა (ჰაერში ხელის მოვლებით ანიშნებს ოცნებას). სადაც ვარდები იშლებიან და აღარ სჭკნებიან; სადაც სილამაზე თავის ხავერდოვან, კოპწია ფრთებით მარხევს ერთი ვარდიდან მეორეზე და მათის ყნოსვით ვტკბები, ვთვრები და მეძინება; სადაც ყვავ-ყორანნი აღარა სჩხავიან, მხოლოდ ბულბულნი და სირინოზნი ჰგალობენ და მათი მღერა ტკბილ ნანასავით მეწვეთება ნეტარებით გაჟღენთილ გულში.

ლელა. და მარტო მაგ წარმოდგენითა სცხოვრობთ?

არჩილ. არა. მე კიდევ შევქმენი ჩემთვის ის ყოველი მხრით უნაკლო არსება, რომლის სიკეკლუცეს, სიდიადეს თავდავიწყებით ვეტრფი, ვენეტარები და იმის სიხარულსა და სიყვარულში ვგრძნობ რაღაც საოცნებო, მიუწდომელ სიამოვნებას.

ლელა. რასაკვირველია, ნამდვილ ცხოვრებას მოწყვეტილი, თქვენისთანა ფანტაზიის მექონი ადამიანი ძალა-უნებურად მიეცემა ეგრეთ უსაზღვრო წარმოდგენებსა და ოცნებებს.

არჩილ. რა ვუყოთ! მაინც ესეთი ტკბილი ოცნება სჯობიან ისეთ საზიზღარ, თავმოსაბეზრებელ სინამდვილეს, რომელსაც ვხედავ მე ცხოვრებაში.

ლელა. (ცოტას შეფიქრიანდება და მერე მოუთმენლათ წამოიძახებს, თითქოს შინაგანმა ძალამ ერთბაშათ გაარღვია თავისი კალაპოტი და გამოხეთქა გარეთაო). რაც გინდათ სთქვით, რაზედაც გინდათ იოცნებეთ, მაგრამ მე მაინც გული მტკივა, მენანება, რომ ეს ნაზი ყვავილი ნელნელ უნდა სჭკნებოდეს შორს... შორს, მოშორებით სიყვარულს, თანაგრძნობას, პატივისცემას..

არჩილ. ოო, ჩემო კეთილო! მე ვატყობ, რომ თქვენი... თანაგრძნობა, თქვენი პატივისცემა ყოველთვის მოახწევს ჩემამდის, რაც გინდა შორს ვიყვე.

ლელა. (თითქოს დაიბნაო, არ იცის, როგორ შეხვდეს ამ სიტყვებს). მარტო ჩემი თანაგრძნობა ისეთ სანუგეშო არაფერს არ წარმოადგენს.

არჩ. მამი-თქვენისაც. . ღვთისოსიც... შალვასიც..

ლელა. ან ეგ კი კმარა?

არჩილ სადაც არ იყვეს—ცოტა კმარიყვესო

ლელა. (ჩაფიქრდება). არა. მე მაინც ვერ გამიგია, ნუ თუ თქვენში მართლა არა სცოცხლობს ან ინტერესი მრავალფეროვან ცხოვრებისადმი, ან სიყვარული ხალხისა, ან ცალკე ადამიანისა?

არჩილ. ინტერესსაცა და სიყვარულსაც ისეთი მაგნიტიური ძალა აქვთ, რომ თუ ერთი მოიჯადოვეს ადამიანი,

რუსის ჯარის მთავარ-სარდალი თავ. ბარიატინსკი,

გუნიბის ამღები.

მას თავისდაუნებურათ გააქანებენ თავიანთკენ და ზოგჯერ ისე სწრაფათაც მიაქანებენ, რომ იქნებ უკან მოხედვა ვერც კი მოასწროს.

ლელა. (თითქოს რაღაც უსაზღვრო ფიქრებმა გაიტაცესო, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგრემით გასტქერის შორს). თქვენ მართალს ამბობთ, ბატონო არჩილ! მართალს ამბობთ..

გამოდიან ექვთიმე, სვიმონი და ღვთისო. ექვთიმეს ხელში დიდი კალათით ვაშლი უჭირავს.

ღვთისო. აგერ არჩილიცა და ლელაც აქ არიან.

ექვთ. სად გაგვექეცით, ჰა? რატომ ბაღში არ გამოასეირნე,

მოხუცი ლეკი დროშით.

სურათი ტ. გორშელტისა.

არჩილ, ლელაცა და შალვაც? (დასდგამს კალათას)

ლელა. მე უკვე ვიყავი გუშინ.

ექვთ. დღესაც გაიარეთ რა. განა ერთის ყოფნით იგემეთ მთელი იქაური სიამოვნება?

სვიმ. შალვა რაღა იქნა, ლელა?

ლელა. შალვა საბანაოთ გაიქცა, ჩქარა მოვა.

გამოდიან ალექსი და ტიტო.

ალექ. მამაო ექვთიმე, კალმახი უკვე მზად არის! ისე საუცხოოთ შევაზავე სურნელებითა და ლამაზათ დავაგვირგვინე ნიგვზით, რომ მადიანი ჰამის მეტი აღარა აკლიარა.

ექვთ. გმადლობ, შვილო ალექსი, გმადლობ! ეს მაგიდა აგერ იმ ხის ქვეშ დადგი ერთი და ბარემ სუფრაც გაგვიშალე! (უჩვენებს მარჯვნივ, სცენის მოფარებით. ალექსისა და ღვთისოს გაქვთ სტოლი)

ალექ. აბა, მაშ მობრძანდით! (შედის და გამოაქვს ხონჩით კალმახი)

ექვთ. ჩემო ალექსი, ეგ მოიტანე და ხელათ ეს ვაშლიც გადაარჩიე კალათაში. დაე, ჩვენ ძვირფას სტუმრებსაც ერგოთ ერთი ჩვენი ნაშრომის ნაყოფი.

ალექ. ძალიან კეთილი! (მიაქვს კალმახი)

სვიმ. (ღვთისოს). ღვინო ხომ კიდევა გვაქვს? გამოიტა ბარემ! (ღვთისო მიდის)

ექვთ. მობრძანდით! შვილო არჩილ! ლელა! (ალექსი ისევ გამოდის და თან მოაქვს ცარიელი კალათი. სკამთან მიიტანს გაშლებიან კალათასაც. დაჯდება და დაიწყებს გადარჩევას. სიჩუმე).

გამოდის ტიტო.

ტიტო. (ხელში ბური და თევზი უჭირავს და გემრიელათ სჭამს. მივა ალექსისთან და მოუჯდება გაშლებს გვერდით)

ალექ. ვიდრე ამ ვაშლებს შესჭამდე, ჩვენც გენახსოვრებით, როცა ამათ მოარჩები, ჩვენც დაგავიწყდებით, არა ტიტო?

ტიტო. არა.

ალექ. ვითომ?

ტიტო. მართლა. მე არას დროსაც არ დამავიწყდება აქ ყოფნა. იცი, ალექსი, მე ხუთი წელიწადი კიდევ მიკლია გიმნაზიის გათავებას, როცა გავათავებ—უნივერსიტეტში წავალ და ისიც უეჭველათ ადესაში, მაშინ აქეთაც გამოვივლი გზათ.

ალექ. უუუ, ხუთ წლამდის დაგავიწყდებით კი არა, მეტიც მოგივა!

ტიტო. აი, ნახავ თუ არა! მაშინ ვინ იცის ველარც-კი მიცნო: დაწმაწნილი ულვაშები... სტუდენტური ფორმა...

ალექ. იქნება აღარც კი გვიკადრო მაშინ.

ტიტო. (უვედრებით). განა მე უკადრისობას მამჩნევ რამეში?

ალექ. ეხლა კი არა, მაგრამ მერე რა ვიცი, კაცი ათასნაირათ გამოიცვლება ხოლმე.

ტიტო. თუ კი მამაჩემი არ გამოცვლილა, ბიძაჩემი, ჩემი დაი, ჩემი ძმაი, რაღა მე გამიწყრება ღმერთი და ეგრე უბედურათ გამოვიცვლები!

ალექ მით უკეთესი, თუ არ გამოიცვლები. მე ხომ საწყენათ არ გითხარი, ჩემო ტიტო?

ბილიკზე ამოირბენს შალვა.

შალვა. (ტიტოს). ჩვენები რა იქნენ?

ტიტო აგერ პურსა სჭამენ.

ალექ. (ვაშლს შესთავაზებს შალვას). აჰა, ყმაწვილო, ინებეთ! ეს ჩვენი ბაღის საუკეთესო ვაშლისაა.

შალვა. მადლობელი ვარ! (გამოართმევს და მიდის მოსადილეებისაკენ).

ალექ. დედა არა გყავს, ტიტო?

ტიტო. არა. სამი წელიწადია, რაც სამუდამოთ გამოგვემშვიდობა და ობლათ დაგვტოვა.



მეგრძელი ლეკები.

მთიდან ჩამოდიან.

სურათი ტ. გორშელტისა.



შამილის სახლი გუნიბში.
სურათი ზანკოვსკისა.

ალექ. საწყალი ტიტო!.. ვინ იცის, როგორა სტიროდი!..
ტიტო. (ტიტო დადონებით თავს ჩაქინდრავს).

გამოდის მარჯვნიდან გრიგოლი.

ტიტო. (დაინახავს რა გრიგოლს, აიდებს ერთ კარგ ვაშლს და მიურბენინებს). ინებეთ, მამაო!
გრიგ. ირემმა რომ ირემს ბალახი აუშვირა, შენ ცისე იქცევი, ჰა, ჩემო მალხაზო? ყოჩაღ, ყოჩაღ! (ჩამოჯდება სკამზე, ამოიდებს პატარა ჯიბის დანას და დაუწყებს ვაშლს თლას. მარჯვნიდან მოისმის ექვთიმეს ხმა).
ექვთ. მამაო გრიგოლ! მობრძანდით და გვეწვიეთ!
გრიგ. გმადლობთ!
სვიმ. მობრძანდით, მობრძანდით! მარტო მადლობით ვერ გადაგვირჩები! (გრიგოლი მიდის).
ალექ. (ადგება კალთაში უკანასკნელ ვაშლებს) აჰა, ამასაც მოვრჩი! (მიაქვს ოთახში).

გამოდის ლელა.

ლელა. (გვერდზე გაუვლის ტიტოსა და თავზე ჩელს გადაუსვამს) რატომ შენ კი არ სადილობ?
ტიტო. არ მინდა.

შამილი თავ. გარიატინსკის წინ
გუნიბის აღების შემდეგ, 1859 წ. 25 აგვისტოს.
სურათი ტ. გორშელტისა.

ლელა. გზაზე მოგშივა.
ტიტო. მე ჩემი წილი კიდეც შევჭამე.
ლელა. (მიდის ნაბრალისაკენ. ჯერ ჩაფიქრებით გასცქერის ოორს და მერე ჯდება სკამზე).

გამოდის ალექსი.

ტიტო. ალექსი! წავიდეთ ერთხელ კიდევ გავიაროთ ბაღში!
ალექ. წავიდეთ! (მიდიან ბადისაკენ. სიჩუმე).
ლელა. (მიიხედ-მოიხედავს; რა ადარავის დაინახავს, დოეაზე შემოიდებს ხელს, დაეყრდნობა ნაბრალზე და ისევ გაერთოა ოცნებაში. მერე წუნარათ დაიწყებს სიმღერას) „ზღვის მღელვარებას, ტყის შრიალსა ...“

გამოდის არჩილ.

არჩ. (რა დაინახავს ოცნებაში მოცურავე მომდერალ ლელას, ისიც ელვასებრ სიამოვნებას იგრძნობს ერთბაშათ. თითქოს ინსტიქტიურათ, წუნარათ, ფეხ-აკრეფით მიუახლოვდება ლელას და გაჩერდება იმის შორი-ახლოს. ლელა არჩილს ვერ ამჩნევს და ისევ განაგრძობს მღერას. როცა მორჩება, ის ისევ შეურხევლათ ზის) როგორც ეტყობა, ლელა ეხლა საუკეთესო ოცნების გუნებაზეა!..
ლელა. არჩილ, თქვენა!.. (შემკრთალი წამოხტება).
არჩ. მაპატიეთ, ლელავ! ვინ იცის, თქვენ რა ტკბილ ოცნებაში იყავით გართული და მე კი ხელი შეგიშალეთ!
ლელა. მაგაზე კარგ პასუხს გაგცემდით, მაგრამ...



ჩერქეზების გადასახლება,—სურათი პ ნ. გრუზინსკისა.
გუნიბის აღებისა და შამილის დამორჩილების შემდეგ დიდძალი ჩერქეზობა გადასახლდა ოსმალეთში.

არჩ. მაგრამ? გენანებათ?
ლელა. არა. ცოტა უხერხული იქნება...
არჩ. რას წამოხტით? დაბრძანდით ისევ!.. (ორივენი სხდებიან. ცოტა სიჩუმე).
ლელა. განგებ ხომ არ იგვიანებს ჩვენი გემი, რომ აღარ გამოჩნდა.
არჩ. რაო? განა ეგრე გეჩქარებათ წასვლა?
ლელა. არა!.. კი არ მეჩქარება, მაგრამ მაინც მოუთმენლათ ველი წასვლის წუთებს...
არჩ. რათა?
ლელა. ისე... (თან უნდა განაგრძოს დაპარაკი, თანაც ვერ გაუბედნია) ბატონო არჩილ! თქვენ შეგიმჩნევიათ, რომ ზოგჯერ უმნიშვნელო გარეშე მიზეზის გამო ადამიანი ერთ საათში, ან რამდენსამე წუთში ჩაიდენს ისეთ რამეს, რასაც ჩვეულებრივ დროს ვერ მოახერხებდა რამდენსამე თვეს, ან წელიწადს?..
არჩ. ადვილი შესაძლოა, რატომ?
ლელა. ნუ თუ თქვენ არ გაგაოცებდათ ასეთი უცნაური გამბედაობა?

(შემდეგი იქნება).

ლევ. მეტრეველი.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. კიკნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.